



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 233  
2022 წლის 20 ფეკემბერი  
ქ. თბილისი

2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში  
გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტების, „2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 2 აგვისტოს N146 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1629945; 20.12.2022) შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს 2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის N1 შესაბამისად.
2. დამტკიცდეს 2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის სათადარიგო პროექტები ამ ბრძანების დანართის N2 შესაბამისად, რომლებიც ჩაენაცვლება გამარჯვებულ პროექტებს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გამარჯვებულთან არ გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება.
3. გამარჯვებული პროექტების წამყვანმა და თანამონაწილე ორგანიზაციებმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არაუგვიანეს 2022 წლის 23 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის კანცელარიაში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი დადასტურება იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციას არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

ბ) არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის შემთხვევაში პროექტის სახსრებისთვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო ანგარიში და ცნობა გაცემული ბანკის მიერ იმის შესახებ, რომ წარმოდგენილ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

გ) პარტნიორი ორგანიზაციის თანხმობის წერილის ორიგინალი;

დ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს დანართით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2022 წლის 30 დეკემბრისა.
5. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი



დამტკიცებულია  
 სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო  
 ფონდის გენერალური დირექტორის  
 2022 წლის 20 დეკემბრის №233 ბრძანებით

2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების  
 კონკურსში გამარჯვებული პროექტები

N	ID პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	პარტნიორი ორგანიზაცია
1	AR-22-470	ბორატების შემცველი გრაფენ/კერამიკული თერმოელექტრული კომპოზიტები — ნაბიჯი კომერციალიზაციისკენ	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
2	AR-22-1998	ღვინის მიკროფილტრაციის და წყლის ულტრაფილტრაციის ბრტყლადპარალელური ტიპის საწარმოო მემბრანული დანადგარი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
3	AR-22-1495	ნადნობების ჰიდროვაკუუმური დისპერგირების უნიფიცირებული დანადგარი სხვადასხვა სახის აქტივირებული ფხვნილების მისაღებად	სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი	შპს "ჯეო ენტერპრაიზ"
4	AR-22-509	ადგილობრივი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეფექტურად გამოყენების ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვა გარემოზე დაბალემისიური ზემოქმედებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	შპს "თ-ენერჯი" სს "სარიონი"
5	AR-22-955	კერამიკული ნანოსტრუქტურის შემცველი კონსოლიდირებული მასალის შემუშავება და საპილოტე ნიმუშების მიღება Ti-B-N სისტემის ფუძეზე	სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი	
6	AR-22-3114	ფავერფაგი™ - ანტიბიოტიკების ჯანსაღი ალტერნატივა მეცხოველეობაში	ა(ა)იპ - კავშირი ბიოქიმიფარმი	სს "ბიოქიმიფარმი"
7	AR-22-3166	პრობიოტიკული პრეპარატებისა და პოლისაქარიდების ჰიდროლაზების საპილოტე დონეზე წარმოების ტექნოლოგიების დადასტურება და კომერციალიზაცია, ეკონომიკური სარგებლიანობისა და გარემოს დაცვისათვის საქართველოში	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	შპს "არომამბრა", შპს "აგროკომბი"
8	AR-22-2370	მზის ენერჯიაზე დაფუძნებული მდგრადი უპესტიციდო ტექნოლოგია ქართული მცირე და საშუალო ღვინის მწარმოებლებისთვის ექსპორტზე ორიენტირებული ბიო-ორგანული ღვინის წარმოებისთვის	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	

9	AR-22-2210	ფაგის შემცველი პასტილების წარმოებაში დანერგვა	სსიპ - გ. ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	შპს "ელიაშვილი ბიოპრეპარატი"
10	AR-22-2048	წყლის ჩიხური და ტანგენციური ულტრაფილტრაციის სპირალური ტიპის საყოფაცხოვრებო მემბრანული დანადგარი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
11	AR-22-636	მულტიპლექსური პჯრ ტექნოლოგია ზეთოვანი კულტურების დეტექციისათვის	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	
12	AR-22-610	ბაქტერიციდული და გაუმჯობესებული ზედაპირული თვისებების მქონე ქაღალდის წარმოება	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
13	AR-22-1672	მწვანე ჩაის ენერგოდამზოგი ახალი სამანქანო ტექნოლოგიის შემუშავება და რეალურ გარემოში ტესტირება	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	შპს „აგროფარმ“
14	AR-22-476	საჰაერო ხომალდების ფრენის უსაფრთხოების ამაღლება საავიაციო ძრავებზე დამცავი ბადეების სისტემის გამოყენებით	შპს(უსდ) - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	სს "თამ" თბილავიამშენი
15	AR-22-1908	სიფონიანი ტურბულენტური მიკრო ჰესი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
16	AR-22-3231	ცემენტის წარმოების ხერხი - საკვამლე აირებით შრობისას, CO <sub>2</sub> , SO <sub>x</sub> , NO <sub>x</sub> -ის სორბციული დაჭერით ცეოლითური ტუფის მოდიფიცირების, ცემენტის დანამატად გამოყენებითობის ვალიდაცია, კლინკერთან, თაბაშირთან ერთად ინდუსტრიულად დაფქვით, აკრედიტირებულ ლაბორატორიაში ტესტირებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	შპს "ევროცემენტი"
17	AR-22-3264	დენის მიღების ენერგეტიკული აირტურბინული მოწყობილობა	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
18	AR-22-1445	მაღალი მექანიკური მახასიათებლების მქონე, მულტიფუნქციური მეტალ-პოლიმერული ლამინატის დამზადება და ტექნოლოგიური პარამეტრების განსაზღვრა	სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი	
19	AR-22-2064	კომპლექსური მინერალური დანამატი ბეტონებისთვის, დამზადება-გამოყენებითობის ვალიდაცია ინდუსტრიულ გარემოში ტესტირებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	შპს „იბერია ცემენტი“
20	AR-22-2439	ნამწვი აირების კატალიზური ნეიტრალიზატორის მიღება თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	

21	AR-22-2204	მატარებლის თვლების და მუხრუჭების საექსპლუატაციო თვისებების პროგნოზირება და გაუმჯობესება	სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი	
22	AR-22-1730	ცემენტის წარმოების ხერხი (CO <sub>2</sub> ,SO <sub>x</sub> ,NO <sub>x</sub> )- გან საკვამლე აირების გასასუფთავებლად, ატმოსფეროში ემისიამდე კლინოფთილოლითიან სორბერში გატარებით, ლაბო-რატორიულ გარემოში ექსპერიმენტაციით გამოყენები-თობის დადგენა, კონცეპციის დამტკიცება	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
23	AR-22-2017	CO <sub>2</sub> სორბენტები ბუნებრივ ცეოლითთა ბაზაზე, სინთ- ეზის/გამოყენების/უტილიზაციის ტექნოლოგიური იდეის კონცეპციის ფორმულირება, გამოყენებითობის დადგენა და დამტკიცება ლაბორატორიულ გარემოში ექსპერიმენტაციით.	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
24	AR-22-668	რეალურ დროში მოძრავი შემადგენლობის იდენტიფიცირების სისტემა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
25	AR-22-1411	„უზოდო გლინვის“ მეთოდით ალუმინის შენადნობების ბაზაზე ნაკლებად თავსებადი ლითონური წყვილებიდან (რკინა-ალუმინი, ტიტანი-ალუმინი) კომპოზიციური (ფენოვანი) მასალების მიღება	სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი	
26	AR-22-621	მოქნილი მცირე საწარმოო უბნის მოწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კიბის მარშზე გადასაადგილებელი სპეციალური მოწყობილობის წარმოებისთვის	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	

დამტკიცებულია  
 სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო  
 ფონდის გენერალური დირექტორის  
 2022 წლის 20 დეკემბრის №233 ბრძანებით

2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების  
 კონკურსის სთარიგო პროექტები

N	ID პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია
1	AR-22-848	რძის შრატის ნორმალიზებისთვის ელექტროდიალიზის კომპლექსური საწარმოო დანადგარის შექმნით საკვები პროდუქციის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი პარტნიორი ორგანიზაცია: შპს "ათინათი"
2	AR-22-1234	მდინარის ნიჩბებიანი ჰიდროენერგეტიკული დანადგარი	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
3	AR-22-1494	მძიმე ლითონების ახალი ადსორბენტი ადგილობრივი ბენტონიტები და Bacillus-ის პრობიოტიკი ბროილერის და ბოცვრის კვებაში	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი